CARICATURE IN THE CONTEXT OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

კარიკატურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტექსტში[1]

SALOME TCHANTURIDZE
PhD student of history
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavadze avenue 1, Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0003-0790-7625
Salome.tchanturidze@tsu.ge
+995598689464

Abstract

The most important cultural events of the 1910-20s are related to the Democratic Republic of Georgia - a free political process gave birth to free art or, on the contrary, free artistic energy gave birth to the alike country.

Tbilisi, similar to Paris of the first half of the 20th century, was not only the capital of Georgia, but also the center of Eastern Europe, where people of various nationalities and artists fleeing revolutionary Russia gathered. In Georgia, which became a refuge for the oppressed and displaced, modernists and avant-gardes thrived. Among the fields of fine arts, the development of the genre of Georgian caricature is worth noting.

During the period of independence, many cartoonists worked in Georgia: Oskar Shmerling, Shalva Kikodze, Mikheil Tchiaureli, Aleksandre Zaltsman, Lado Gudiashvili, Gigo Zaziashvili and others. Magazines and newspapers of that time also demonstrated us the stories of Tamar Tavadze and Elene Akhvlediani.

Caricature, based on its essence, is of special importance in terms of understanding and evaluating socio-political problems. That is why for years in Georgia, which was part of the Russian Empire, many printed publications with caricatures were victimized by the censorship.

Since 1918, the free environment has created completely new opportunities for artists. Satirical-humorous editions, in which sharp and critical pamphlets illustrated by artists, were printed without censorship. It is also worth noting that these works were often ironic, but not cynical - even critically depicted reality was characterized with harmless intentions and humour.

The situation began to change radically from 1921, when the Soviet ideology confronted the person, his self, individual thinking, and with the motive of forming a common collective unity, created a new reality with fear and terror, where a new person, the "Soviet individual" was created. Since then, Soviet censorship has turned caricature into a tool of its own struggle and a means of propaganda.

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (FR – 19-6262)

Keywords: Democratic Republic of Georgia; Caricature Lado Gudiashvili; Shalva Kikodze; Mikheil Chiaureli;

სალომე ჭანტურიძე
ისტორიის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის #1
ORCID 0009-0003-0790-7625
Salome.tchanturidze@tsu.ge
+995598689464

აბსტრაქტი

XX საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების უმნიშვნელოვანესი პროცესები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს (1918-1921 წწ.) უკავშირდება. როცა თავისუფალმა პოლიტიკურმა პროცესმა თავისუფალი ხელოვნების წარმოშობა განაპირობა ან პირიქით, თავისუფალმა სახელოვნებო ენერგიამ „დაბადა“ თავისუფალი ქვეყანა.

XX საუკუნის პირველი ნახევრის პარიზის მსგავსად, თბილისი არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრიც იყო, სადაც იკრიბებოდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რევოლუციურ რუსეთს გამოქცეული ხელოვანები. საქართველო იქცა „ჩაგრულ“, „დევნილ“ ადამიანთა თავშესაფრად, სადაც მოდერნიზმი და ავანგარდი ჰყვაოდა. სახვითი ხელოვნების დარგებს შორის, აღსანიშნავია, ქართული კარიკატურის ჟანრის განვითარება.

დამოუკიდებლობის პერიოდის საქართველოში მოღვაწეობდნენ მხატვარ-კარიკატურისტები: ოსკარ შმერლინგი, შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიურელი, ალექსანდრე ზალცმანი, ლადო გუდიაშვილი, გიგო ზაზიაშვილი და სხვები. ამ დროის ჟურნალ-გაზეთებმა თამარ თავაძის და ელენე ახვლედიანის შარჟებიც შემოგვინახა.

საქართველოში, 1880-იანი წლებიდან, ბეჭდური პრესის გაჩენასთან ერთად, მრავალი ჟურნალ-გაზეთი ირთვებოდა კარიკატურული ნიმუშებით. კარიკატურას, თავისი არსიდან გამომდინარე, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გააზრებასა და შეფასებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს, სწორედ ამიტომ, წლების განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოში არაერთი კარიკატურით დასურათებული ბეჭდური გამოცემა ემსხვერპლა, რომელიც ცენზურის განსაკუთრებულ „ზრუნვის“ ობიექტს წარმოადგენდა.

1918 წლიდან დაწყებულმა თავისუფალმა გარემომ ხელოვანებს ახალი შესაძლებლობა მისცა. ცენზურის გარეშე იბეჭდებოდნენ სატირულ-იუმორისტული ხასიათის გამოცემები, სადაც მწვავე და კრიტიკულ პამფლეტებს მხატვრები ასურათებდნენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მათი ნამუშევრები ხშირად ირონიულია, თუმცა, არა ცინიკური. მწვავედ ასახულ რეალობაშიც კი კეთილი მიზნები და უბოროტო იუმორი იკვეთება.

სიტუაცია რადიკალურად იცვლება 1921 წლიდან, როდესაც საბჭოთა იდეოლოგია უპირისპირდებოდა პიროვნებას, მის მე-ს, ინდივიდუალურ აზროვნებას და საერთო

კოლექტიური ერთობის ჩამოყალიბების მოტივით, შიშითა და ტერორით ქმნიდა ახალ სინამდვილეს, სადაც ახალი ადამიანი, „საბჭოთა ინდივიდი“ შეიქმნა. საბჭოთა ცენზურამ კარიკატურა საკუთარი ბრძოლის იარაღად და პროპაგანდის საშუალებად აქცია.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; კარიკატურა; ლადო გუდიაშვილი; შალვა ქიქოძე; მიხეილ ჭიაურელი;

შესავალი

სტატიაში განხილულია ქართული კარიკატურის ისტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტექსტში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ინტერესი გაიზარდა. კარიკატურის ჟანრისადმი კი ჯერ საკმაოდ მწირი ინფორმაცია არსებობს, თუმცა, 2019 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში, პროექტით „კარიკატურისასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980 წწ.)“ (FR –18-6262).

პროექტის ფარგლებში საშუალება მოგვეცა ქართული კარიკატურის ჟანრი სიღრმისეულად გვეკვლია. ეს კონკრეტული წერილი კი წარმოადგენს ერთ-ერთ თავს აღნიშნული მასალებიდან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში კარიკატურის ჟანრის შესწავლას და იმ დროს მოღვაწე მხატვრებს: ლადო გუდიაშვილს, შალვა ქიქოძესა და მიხეილ ჭიაურელს ეძღვნება.

სტატიაში მოცემულია ცდა, სხვადასხვა პერსპექტივიდან, დიფერენცირებულად გაშუქდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კარიკატურის ჟანრი და ქართველი მხატვრების მოღვაწეობა, წარმოჩენილია მათი საქმიანობა და იდეოლოგიური მრწამსი.

ნაშრომი დაწერილია ძირითადად პირველწყაროების მიხედვით, გამოყენებულია დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები, საარქივო დოკუმენტები, მემუარული ლიტერატურა და თემასთან დაკავშრებული სამეცნიერო პუბლიკაციები

მეთოდები

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, აგრეთვე, ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას, საკითხის სხვადასხვა რაკურსით წარმოჩენას.

შედეგი

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ქართული კარიკატურის ისტორია, სადაც განხილულია სამი ქართველი მხატვრის: ლადო გუდიაშვილის, შალვა ქიქოძისა და მიხეილ ჭიაურელის შემოქმედება.

კვლევამ ცხადყო, მიუხედავად დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მცირე დროისა, თავისუფალმა გარემომ ხელოვნების აღნიშნული ჟანრის განვითარებაც განაპირობა.

წლების განავლობაში აკრძალული სატირულ-იუმორისტული გამოცემები, რომლებიც უხვად ფორმდებოდა კარიკატურული ნიმუშებით თვიდან იწყებენ არსებობას. შედეგად ჩვენამდე შემორჩა ფასდაუდებელი ათეულობით ჩანახატი, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს აღნიშნული ეპოქის საკვლევად.

დისკუსია

1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აქტი გააცნო. აქტის მიღებით საქართველომ 117 წლის წინ წართმეული სუვერენული უფლებები დაიბრუნა და დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა.

თავისუფლების მოპოვება, ცხადია, ადამიანებს ახალ პერსპექტივას სთავაზობდა – თავისუფალი გარემო ხელოვანთა თვალსაწიერსაც აფართოებდა და განსხვავებულ საშუალებებსაც აჩენდა. მცირე დროის მიუხედავად, ხელოვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამწლიან მონაკვეთში შთამბეჭდავად განვითარდა და ევროპის ავანგარდისტულ ცენტრებთან მეტოქეობასაც კი ცდილობდა. იმდროინდელმა ნაციონალურმა სულისკვეთებამ განაპირობა ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე პოლიტიკოსების მხარადამხარ ქართველი მხატვრებიც მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდნენ. ქვეყანაში, რომელსაც გეზი ევროპისკენ ეჭირა, ევროპული მხატვრული მიმდინარეობებიც შესატყვისად ვითარდებოდა.

მხატვრები ახლად შექმნილი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად ერეოდნენ. მაგალითად, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა პოლიტიკური პარტია „ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა“, რომლის დამფუძნებელთა შორის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, პავლე ინგოროყვას გარდა, იაკობ ნიკოლაძე და ლადო გუდიაშვილიც იყვნენ. ხელოვანები მხარს უჭერდნენ ეროვნულ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ პარტიას. დავით კაკაბაძე წერილებს სოციალ-დემოკრატთა პრესაში ბეჭდავდა, ვალერიან სიდამონ-ერისთავი კი ეროვნულ-დემოკრატთა პერიოდულ გამოცემაში აქვეყნებდა და ა.შ.

1910-20-იანი წლების უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენები სწორედ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უკავშირდება – თავისუფალმა პოლიტიკურმა პროცესმა თავისუფალი ხელოვნება შვა ან, პირიქით, თავისუფალმა სახელოვნებო ენერგიამ ასეთივე ქვეყანა დაბადა.

თბილისი, მსგავსად XX საუკუნის პირველი ნახევრის პარიზისა, იყო არა მხოლოდ საქართველოს დედაქალაქი, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრიც, სადაც ამა თუ იმ ეროვნების ადამიანები და რევოლუციურ რუსეთს გამოქცეული ხელოვანები იყრიდნენ თავს. საქართველოში, რომელიც ჩაგრულთა და დევნილთ თავშესაფრად იქცა, მოდერნიზმი და ავანგარდი ყვაოდა.

1920 წელს ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდა კარიკატურა სათაურით „ნაცემთა თავშესაფარი“. ნახატის ცენტრში კავკასიონის ქედის ფონზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბითა და დროშით შემკული ციხესიმაგრეა გამოსახული. მისკენ სხვადასხვა ეთნიკურ სამოსში გამოწყობილი ადამიანები მიიწევენ. თითოეულ მათგანს ვიღაც იარაღიანი მისდევს დასაჭერად. კარიკატურას აქვს მინაწერი, რომელიც, ფაქტობრივად, ორი წინადადებით გადმოგვცემს იმდროინდელ ვითარებას: „ძველათ ამბობდნენ, ყველა გზა რომში მიდისო. ეხლა ეს ანდაზა უნდა შეიცვალოს, რადგან დღეს ყველა გზა საქართველოში მოდის“ (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ (1920). #22, ტფილისი).

ტიციან ტაბიძე, ცისფერყანწელთა ორდენის წევრი და თბილისური ავანგარდის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, გაზეთში „ბარრიკადი“ ყოველივე ამას ამგვარად ხსნიდა:

„რუსეთი სამი წლის წინ – ეს იყო რაღაც ფანტასმაგორია. მართლა ასტრალური მტვერი გაყინულ სიცივით სთოვდა მაშინ რუსეთში. სამოქალაქო ომის განადგურება, ჩრდილოეთ

პოლუსის ოკეანის სიცივე, შიმშილი დასული მისტერიამდე და სისხლიანი „ჩეკა“. გადმოცვენილი ემიგრანტები რაღაც არა ადამიანური ტერორის ქვეშ მთელი არსებით გამოთქვამდნენ რაღაც გაუმეორებელს...

კულტურული ადამიანები კოცნიდნენ მიწას ჩვენი თვალის წინ თბილისში და სტიროდნენ, როცა ხედავდნენ ელექტრონის სინათლეს...

ყველაზე უფრო... ვასილი კამენსკი სტიროდა კაფეში, როცა გრძნობდა სითბოს ჟრუანტელს და დაუსრულებლად რუსული ხლისტური სიმართლით ჰყვებოდა ამბებს მოსკოვის კოშმარზე, სიცივეზე, როცა ადამიანი ცხოველზე უფრო დაბლა გრძნობს თავს. მაშინ ჩვენ გვესმოდა ეს ფრაზა, რომელიც შემდეგ ერთმა ახალგაზრდა პოეტმა გამოიტანა პრაგაში. აკადემიკოსი პოეტი ივანე ბუნინი – ამთქნარებს და ამბობს – ღმერთო, დამსვა ერთი მაინც საქართველოში.

აქედან წარმოსდგა ლეგენდა საქართველოს ოაზისობის, აქედან განმეორდა ბიბლიური ლეგენდა, რომ სამოთხე უნდა ყოფილიყო ევფრატის გადმოღმა“ (ტაბიძე, 1922).

მართლაც, საქართველოს დედაქალაქი ყველა ჯურის ხელოვანს აერთიანებდა. აქ იყვნენ პოლონური წარმოშობის ქართველი ფუტურისტი მხატვარი, მწერალი და მკვლევარი ილია ზდანევიჩი (იბეჭდებოდა ფსევდონიმით „ილიაზდი“) და მისი ძმა, მხატვარ-ილუსტრატორი კირილე ზდანევიჩი. სწორედ ისინი (ცისფერყანწელები და ძმები ზდანევიჩები) უკარნახებდნენ იმდროინდელ ქართულ ხელოვნებას მიმართულებას, რომელსაც ინტერნაციონალურობის ამბიცია ჰქონდა. ამას, ცხადია, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იმ ეპოქაში თბილისში არაერთი უცხოელი ბინადრობდა. ამ მხატვრების უმეტესობა არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, არამედ პერიოდულ გამოცემებში კარიკატურებსაც აქვეყნებდა.

დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოში არაერთი მხატვარი კარიკატურისტი მოღვაწეობდა: ოსკარ შმერლინგი, შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი, ალექსანდრე ზალცმანი, ლადო გუდიაშვილი, გიგო ზაზიაშვილი და სხვები. ამ დროის ჟურნალ-გაზეთებმა თამარ თავაძისა და ელენე ახვლედიანის შარჟებიც შემოგვინახა.

კარიკატურას, თავისივე არსიდან გამომდინარე, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გააზრება-შეფასების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ წლების განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოში ცენზურას კარიკატურებით დასურათებული არაერთი ბეჭდური გამოცემა ემსხვერპლა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთან კარიკატურული ჟანრის განსაკუთრებით აქტიური განვითარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ თავისუფალ გარემოს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ 1880-იანი წლებიდან, ბეჭდური პრესის გაჩენის კვალდაკვალ, კარიკატურული ნამუშევრები არაერთ ჟურნალსა თუ გაზეთში ქვეყნდებოდა, 1918 წლიდან მოყოლებული, თავისუფალმა გარემომ ხელოვანთათვის სრულიად ახალი შესაძლებლობები გააჩინა. სატირულ-იუმორისტული გამოცემები, რომლებშიც მწვავე და კრიტიკულ პამფლეტებს მხატვრები ასურათებდნენ, ცენზურის გარეშე იბეჭდებოდა. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ეს ნამუშევრები ხშირად ირონიული იყო, თუმცა არა ცინიკური – კრიტიკულად გამოსახულ რეალობაშიც კი კეთილი მიზნები და უწყინარი იუმორი იკვეთებოდა.

იმდროინდელი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მწირია, რისი მიზეზიც უკვე შემდგომი საბჭოთა ცენზურაა, თუმცა შემორჩენილი კარიკატურებით დამოუკიდებლობის გამოცხადების სიხარულიც კი შეგვიძლია შევიგრძნოთ.

ლადო გუდიაშვილის კარიკატურული ჩანახატი „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ ჟურალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ 1919 წელს დაბეჭდა (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. (1919). #4). ნახატის მთავარი ფიგურა სრული ტანით გამოსახული ახოვანი მამაკაცია, რომელსაც მარჯვენა ხელით აღუმართავს დროშა წარწერით „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“, მარცხენათი კი უჭირავს გაწყვეტილი ჯაჭვი – სიმბოლო რუსეთი იმპერიის მარწუხებიდან თავის დახსნისა. კომპოზიციის მარჯვენა ნაწილში გამოსახულია ისრით განგმირული ცხოველი – რუსეთის იმპერიის მეტაფორა. მთაგრეხილის უკან ამომავალი მზის სხივების ფონზე ორ ციხესიმაგრეს შორის წარმოდგენილია მხედარი (ეს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე თეთრი გიორგის გამოსახულებას ემსგავსება).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ფურცლებმა ეს და არაერთი სხვა კარიკატურა შემოგვინახა. მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ და პოლიტიკურმა პლურალიზმმა საქართველოში ბეჭდვითი საქმის თავისუფლება განაპირობა. გამოცემები, რომლებიც ცენზურას აკრძალული ჰქონდა, წლების შემდეგ თავიდან იბეჭდებოდა.

დემოკრატიულ რესპუბლიკას განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებდნენ სატირულ-იუმორისტული გამოცემები, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან მოვლენას აშუქებდნენ და კარიკატურებსა თუ მეგობრულ შარჟებსაც ბეჭდავდნენ. როგორც შემორჩენილი მასალა ცხადყოფს, ამა თუ იმ ჟურნალის კარიკატურისტი მხატვრები მთავრობის სხდომებსაც ესწრებოდნენ, რათა საილუსტრაციოდ მსუყე მასალა მოპოვებინათ.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში კვლავ იბეჭდებოდა ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, რომელიც უწინ ცენზურას აკრძალული ჰქონდა, 1919 წელს გამოვიდა ჟურნალი „ახირებული“, 1920 წლიდან გამოიცემოდა „ხათაბალა“ და „მათრახი“.

„ეშმაკის მათრახი“ (1919-1921), ყოველკვირეული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც თეოფილე ბოლქვაძე გახლდათ, თბილისში იბეჭდებოდა. ეს პერიოდული გამოცემა ადრეც – 1907-1908 წლებსა და 1915-1917 წლებშიც – გამოდიოდა, თუმცა ორივეჯერ ცენზურას შეეწირა. ამ დამოუკიდებელი, თავისუფალი გამოცემის ყურადღების მიღმა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ რჩებოდა. ჟურნალი ხელისუფლების მიმართ ხშირად საკმაოდ მკაცრი და კრიტიკული იყო, ხოლო მისი ავტორები ხელისუფალთ, ბიუროკრატიასა თუ კორუფციას დაუნდობლად ამხელდნენ. გამოცემა უხვად იყო ილუსტრირებული კარიკატურებით, თუმცა, გარდა კარიკატურებისა, „ეშმაკის მათრახში“ პამფლეტები, ფელეტონები და პუბლიცისტური წერილებიც იბეჭდებოდა. მისი წამყვანი ავტორები იყვნენ თაგუნა (შ. შარაშიძე), ეშმაკი (ნ. კალანდაძე), მორიელი (ლ. ალექსაშვილი), ბუტუნა (ს. ორაგველიძე) და სხვანი. ჟურნალის მხატვრული გაფორმება ოსკარ შმერლინგს, შალვა ქიქოძეს, მიხეილ ჭიაურელს, ალექსანდრე ზალცმანსა და სხვებს ევალებოდათ.

„ახირებული“ ყოველკვირეული სატირულ-იუმორისტული გამოცემა უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი მხოლოდ ორი (1919 წლის 8 და 14 თებერვლის) ნომრის დაბეჭდვა მოხერხდა. ჟურნალში ქვეყნდებოდა ფელეტონები, შარადები და ლექსები, რომლებსაც უხვად ამშვენებდა კარიკატურები, წერილები კი ძირითადად „ეშმაკისა“ (შალვა შარაშიძის) და „თაგუნას“ (ნესტორ კალანდაძის) ფსევდონიმებით იბეჭდებოდა.

„სორაპანში“, ერთ-ერთ თბილისურ სტამბაში, რომელსაც მ. გაჩეჩილაძე უძღვებოდა, 1920 წლის 21 მარტს რვაგვერდიანი საოხუნჯო ჟურნალი „ხათაბალა“ დაიბეჭდა. მისი რედაქტორ-გამომცემელი თეოფლე ბოლქვაძე იყო, ე.წ. თავნიშანი კი მხატვარმა გიგო ზაზიაშვილმა შექმნა. აღსანიშნავია, რომ ამავე მხატვარს ეკუთვნოდა ჟურნალ „ხუმარის“ შემკულობა. ეს გამოცემა, რომლის ერთადერთი ნომერი 1907 წელს დაიბეჭდა, ცენზურამ აკრძალა. ჟურნალის სათაური – „ხათაბალა“ – ბეშტიასა და ბენიას ფიგურებს ეჭირათ.

ბეშტიასა და ბენიას გამოსახულებებმა, რომლებიც ადრე „ხუმარასა“ და „ეკალს“ ამშვენებდა, 1920 წელს „ხათაბალის“ ფურცლებზე გადაინაცვლა. ოდნავ მოგვიანებით თავნიშანმა სახე იცვალა და უკვე მესამე ნომერის სატიტულო გვერდის მარცხენა ნაწილში გამოსახული ხელიხელგადახვეული ბეშტია და ბენია ჟურნალის სათაურს ამათრახებდნენ. „ხათაბალის“ რვა ნომერს, რომლებიც 1920 წელს გამოქვეყნდა, გ. ზაზიაშვილის, ი. როტერის, ო. შმერლინგის, გ. მგელაძის, მ. ჭიაურელისა და ლ. გუდიაშვილის კარიკატურები ამკობდა. 1920 წლის 11 აპრილიდან „ხათაბალა“ ჟურნალ „ახირებულს“ უნდა შეეცვალა, თუმცა ამ გამოცემამ ცოტა ხანს იარსება (11 და 25 აპრილს სულ ორი ნომერი გამოიცა).

იმ ხელოვანებს შორის, რომლებიც თავიანთ კარიკატურებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდნენ, არაერთი ცნობილი მხატვარია.

ლადო გუდიაშვილი 1910-1914 წლებში „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში სწავლობდა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე ახალბედა მხატვარის ნამუშევრები – ილუსტრაციები ლეო ქიაჩელის მოთხრობებისათვის – ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ დაბეჭდა. გუდიაშვილი ჟურნალ ARS-ის მხატვარიც იყო (1917) და, როგორც ცნობილია, თბილისის ავანგარდული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეც გახლდათ. ჯერ კიდევ 1919 წლამდე, ანუ სანამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით პარიზში გაემგზავრებოდა, მხატვარი კარიკატურის ჟანრში მუშაობდა და ნამუშევრებს აქვეყნებდა.

ლადო გუდიაშვილს, როგორც თეატრის მხატვარს, გრაფიკოსსა და ფერმწერს ბევრი იცნობს, თუმცა მისი კარიკატურები არცთუ დიდი რაოდენობით გვაქვს შემორჩენილი. ჟურნალში „ხათაბალა“ მხატვრის ხელმოწერით დაბეჭდილია შვიდი ნამუშევარი: „„ხათაბალას“ გამოსვლა თბილისში“ (ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). #1), „აჭარელი“ (ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). #2), ინგლისის თემაზე შესრულებული ორი ჩანახატი (ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). #2),, „ხათაბალას შარჟები“ („სპეკულიანტი“ და „თბილისის მოქალაქის სიზმარი“) (ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). #3), „კომუნისტური მუშტი ადერბეიჯანში“ (ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). #5), „გაკომუნისტებული ადერბეიჯანელი ბარიშნა“ (ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). #7).

1920 წელს 11 აპრილს „ხათაბალის“ ნაცვლად ჟურნალი „მათრახი“ დაიბეჭდა. გამოცემის ადგილიც და გამომცემელიც იგივე იყო. ჟურნალში კარიკატურები ხელმოუწერლად გამოქვეყნდა, თუმცა მათი შესრულების მანერა შმერლინგის ხელწერას მოგვაგონებდა. სატიტულო გვერდზე ლადო გუდიაშვილის ხელმოწერით დაბეჭდილი იყო კარიკატურა სათაურით „აღდგომის პასკა“. ნახატის ცენტრში გამოსახულია გიგანტური პასკა წარწერით „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელსაც შინაური და გარეული მტრები შესაჭმელად დასტრიალებენ. პასკის თავზე ხუთი ფიგურაა მოთავსებული. სავარაუდოდ, მარცხნიდან პირველი ევგენი გეგეჭკორია, მეორე – ნოე ხომერიკი. ამათ გარდა, გამოსახულნი უნდა იყვნენ ნოე ჟორდანია, ბენია ჩხიკვიშვილი და კიდევ ერთი უცნობი პირი (ჟურნალი „მათრახი“. (1920). #1).

აღსანიშნავია, რომ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ იბეჭდებოდა ლადო გუდიშვილის პარიზში ყოფნისას შესრულებული კარიკატურები. მათგან ერთ-ერთი ავტოპორტრეტია და მასზე გამოსახულია მხატვარი პარიზის ქუჩებში (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1921). #58). ამავე ჟურნალის შემდეგ ნომერში ლადო გუდიაშვივლი საკუთარ კარიკატურულ გამოსახულებას წარმოადგენს კვლავ პარიზში, ლამაზ ბანოვანთა გამოფენაზე, ხოლო

მომდევნო გვერდზე გამოქვეყნებულია ვასილ ყუშიტაშვილის კარიკატურა მისივე შესრულებით (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1921). #59). ე.წ. ფრანგული პერიოდიდან მოყოლებული, მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა კარიკატურებში კიდევ უფრო მძაფრდება. სასურათე სიბრტყეს მეტად მოქნილი, სხარტი მონასმები იკავებს. აშკარაა, ლადო გუდიაშვილის კარიკატურებში გაბედული ხაზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

შალვა ქიქოძე 1895 წელს სოფელ ბახვში დაიბადა. მხატვრის ბიძაშვილი გერონტი ქიქოძე იგონებს: „შალვამ ხატვა თითქმის ლაპარაკთან ერთად დაიწყო. ის ფანქრით ხატავდა ყველაფერს, რასაც შეეძლო შთაბეჭდილება მოეხდინა ამ პატრიარქალურ და იდილიურ გარემოში აღზრდილ ბავშვზე... იგი ჯერ კიდევ ორი-სამი წლისა იყო, როდესაც მარჯვენა ხელზე დამბლა დაეცა და იძულებული გახდა მარცხენა ხელით ეხატა“ (აბესაძე, 1990:20). თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ შალვა ქიქოძე მოსკოვში გაემგზავრა. 1914 წელს მან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტიპენდია მოიპოვა და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა, 1916 წელს კი იგი მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა.

შალვა ქიქოძემ კარიკატურების ხატვა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას დაიწყო, 13 წლის ყმაწვილი კი უკვე ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. იგი ნამუშევრებს ძირითადად chalico-ს ფსევდონიმით აქვეყნებდა. შალვა ქიქოძე თანამშრომლობდა იუმორისტულ გამოცემებთან „ლახტი“ და „ეშმაკის მათრახი“, ასევე სახელოვნებო ჟურნალებთან – „თეატრი და ცხოვრება“, „თეატრი და მუსიკა“, მოსკოვში ცხოვრებისას კი – ჟურნალთან „Рампа и жизнь“.

1918 წელს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, როდესაც საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, მხატვრის კიდევ უფრო მეტად აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება იწყება. შალვა ქიქოძემ 1918 წლის ბოლოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მდივნად დაიწყო მუშაობა. ეს იყო დრო, როდესაც ქართული თეატრი პირველ ნაბიჯებს დგამდა. პარიზიდან ახლად დაბრუნებულმა გიორგი ჯაბადარმა დააარსა დრამატული სტუდია, რომლის მთავარ მხატვრადაც შალვა ქიქოძე დაინიშნა. 1919 წლიდან სამუზეუმო სივრცის შექმნა და სხვადასხვა ტიპის გამოფენათა ორგანიზება დაიწყეს. საშემოდგომო გამოფენაზე წარდგენილმა მისმა რამდენიმე ნამუშევარმა ყურადღება მიიქცია და შალვა ქიქოძე, ისევე, როგორც დავით კაკაბაძე და ლადო გუდიშვილი, სახელმწიფო ხარჯით სასწავლებლად საფრანგეთში გაემგზავრა. სამწუხაროდ, ახალგაზრდა მხატვარი 1921 წელს გერმანიაში გარდაიცვალა.

შეიძლება ითქვას, რომ შალვა ქიქოძის შემოქმედებითი აქტივობის ხანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდს ემთხვევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის ადრეულ ჩანახატებსა თუ პარიზულ შარჟებს შორის დიდი სხვაობა არ არის – შალვა ქიქოძის მიერ თუნდაც 13-14 წლის ასაკში შესრულებული ჩანახატები ტექნიკურად სრულიად გამართულია. მუშაობისას მხატვარი ყურადღებით აკვირდება ასასახ ობიექტს და მსუბუქ კონტურს შტრიხებს ამატებს. ამ ხელოვანის თანდაყოლილი მხატვრული ნიჭი მართლაც გამორჩეულია.

მიუხედავად იმისა, რომ არ დასცალდა, შალვა ქიქოძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ათეულობით ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევარს ითვლის. მათი უმრავლესობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ზოგი კერძო კოლექციებშია გაბნეული. თუმცა არსებობს ჩანახატები, რომლებიც მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ფურცლებმა შემოგვინახა. 1918-1921 წლების ჟურნალ-გაზეთებიდან შალვა ქიქოძის ხელმოწერით 58 კარიკატურის მოძიება მოხერხდა. მათგან 29 ჩანახატის

შესახებ სხვა ცნობა არ გვაქვს. თავის მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩანახატთა დედნები დღემდე დაკარგულად მიიჩნევა.

1919 წელს შალვა ქიქოძემ ჟურნალ „ახირებულის“ პირველი და მეორე ნომრები დაასურათა. აქ დაბეჭდილი 15 კარიკატურიდან 12 chalico-ს ხელმოწერითაა, 3 კი ხელმოუწერელია. ყველა კარიკატურა პოლიტიკური შინაარსისაა და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებულ ვითარებას ეხმიანება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნამუშევარი სახელწოდებით „ახირებული ხმის მიცემა“, რომელიც ქართულ სივრცეში ერთ-ერთ პირველ საარჩევნო პოსტერად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს 1919 წლის I საყოველთაო დამფუძნებელი კრების არჩევნების თემაზე შესრულებული კარიკატურაა. ნახატზე გამოსახულია ქოთნებზე შემომსხდარ ადამიანთა სტილიზებული ფიგურები. ამგვარად გაშარჟებულნი არიან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერი „პატარა მამულიშვილები“.

1919 წლით თარიღდება ჟურნალი „Искусство“, რომელშიც შალვა ქიქოძის 5 კარიკატურა გამოქვეყნდა. ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ 1919 წლის გამოცემის ფურცლებზე მხოლოდ ერთი ჩანახატი გვხვდება: „ნინო ჩხეიძე – ელენე“. ჟურნალ „ხელოვნების“ 1919 წლის გამოშვებაში დაბეჭდილია 2 ჩანახატი. ორივე მათგანი ეხმიანება სუმბათაშვილის პიესას „ღალატი“, რომელიც ქართული დრამატული სტუდიის სცენაზე იდგმებოდა.

გარდა ამისა, 1919 წელს შალვა ქიქოძემ „ეშმაკის მათრახის“ 3 ნომერი დაასურათა. სულ შესრულებული 7 ნამუშევრიდან ცნობილია მხოლოდ 4 კარიკატურა (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1919). #1). ჟურნალის ასლი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, კარიკატურათა დედნები კი დაკარგულად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ შალვა ქიქოძის ვინაობა ხელმოწერით დასტურდება მხოლოდ ერთ ნამუშევარში – „გვარდიის დღე“ (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1919). #3).უნდა ითქვას ისიც, რომ გამოსახული არსების (ეშმაკის) პროტოტიპად გამოყენებულია 1918 წელს დახატული ნესტორ კალანდაძე – „ეშმაკი“. ყველა სხვა შემთხვევაში ნამუშევრები ხელმოწერილია ფსევდონიმით chalico.

მიუხედავად იმისა, რომ 1920 წელს შალვა ქიქოძე უკვე საფრანგეთში იმყოფებოდა, მას ჟურნალებთან თანამშრომლობა არ შეუწყვეტია. წერილში, რომელიც პარიზიდან არის გამოგზავნილი და 1920 წლის 24 აპრილით თარიღდება, იგი მამას წერს: „ნესტორი (კალანდაძე) რატომ ჟურნალებს არ მიგზავნის? ჩემი კარიკატურები თუ მიიღო?“ 1920 წლის 7 დეკემბერს მხატვარი დას, ანეტა ქიქოძეს, შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის: „ნესტორ კალანდაძეს გადაეცი, რომ მის სახელზედ სურათები მე ცალკე გამოვაგზავნე და იმანაც სამინისტროში მიაკითხოს“. როგორც წერილებიდან ირკვევა, ნესტორ კალანდაძე და გაბო ცისკარიშვილი საფრანგეთში მყოფ შალვა ქიქოძეს ქართულ პერიოდულ გამოცემებს აწვდიდნენ. შალვა ქიქოძე მათ ეცნობოდა, სიტუაციურ ჩანახატებს ქმნიდა და სამშობლოში გზავნიდა.

1920 წელს ,,ეშმაკის მათრახის“ №24-ში, რომელიც 2 მაისით თარიღდება, საფრანგეთში მივლინებული შალვა ქიქოძე პირველად აქვეყნებს კარიკატურებს. აქ დაბეჭდილია ორი ნამუშევარი: „უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა“ და „შალიკო პარიზშია“ (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #24).ამავე წლის 47-ე, 48-ე და 52-ე ნომრებს დაემატა რუბრიკა „საგარეო საქმეები“, რომელიც შალვა ქიქოძის კარიკატურებითა და შარჟებითაა დასურათებული, ამ კარიკატურათა მთავარი პერსონაჟი კი ხშირად, თავად მხატვარია (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #47, 48, 52).

შალვა ქიქოძის შემოქმედებაში სასურათე სიბრტყის მაორგანიზებელი ელემენტი არის ხაზი – მოქნილი, დინამიკური და თან ძალიან ლაკონიური. ამავე დროს, შვეული და

პარალელური ხაზების მონაცვლეობა შუქ-ჩრდილს ქმნის და ფორმების წარმოჩენას ემსახურება. ყველა დეტალი – სხეულის ესა თუ ის ნაწილი, სახის ნაკვთები – მეტყველია. ზომიერება, ექსპრესიულობა და ფსიქოლოგიური მომენტების წინ წამოწევა მხატვრის სახასიათო ნიშნებია. მას გამოარჩევს ხაზის სისხარტე, საინტერესოდ შერჩეული რაკურსი კი ხელოვანის მახვილ თვალზე მეტყველებს. შალვა ქიქოძის იუმორი სატირულ კარიკატურებშიც კი იმდენად მოზომილი და არაგამაღიზიანებელია, რომ მნახველის კეთილგანწყობას იწვევს.

ლადო გუდიაშვილისა და შალვა ქიქოძის თაობის მხატვარია მიხეილ ჭიაურელიც, რომელიც 1894 წელს თბილისში დაიბადა. 1912 წელს მან, იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლა დაამთავრა. 1915 წლიდან მიხეილ ჭიაურელი თბილისში, ქუთაისსა თუ ბათუმში თეატრის რეჟისორად, მსახიობად და მხატვრად მუშაობდა და გამომცემლობებთანაც თანამშრომლობდა – კარიკატურებსა და შარჟებს აქვეყნებდა. ლადო გუდიაშვილთან და შალვა ქიქოძესთან ერთად, მიხეილ ჭიაურელიც ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია.

ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უკავია კარიკატურებს, რომელთა დიდი ნაწილი თემატურად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უკავშირდება. მათი უმეტესობა პერიოდული პრესის ფურცლებმა შემოინახა.

ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“ ნამუშევრები მიხეილ ჭიაურელის ხელმოწერით 1920 წლის 25 იანვრიდან გვხვდება. აქ „დამოუკიდებელი საქართველოს“ სათაურით მისი 9 კარიკატურა დაიბეჭდა. კარიკატურათა ამ სერიას იწყებს ჩანახატი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს დაბადება. ამ შარჟების ერთ-ერთი მოქმედი პერსონაჟი ინგლისელი დიპლომატი ოლივერ ურودროპიცაა. ბოლო კარიკატურა იუმორისტულად წარმოაჩენს საქართველოს წარდგენისა და აღიარების პროცესს (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #10 ჟურნალის მე-11 ნომრის სატიტულო გვერდი მიხეილ ჭიაურელმა შექმნა. მასზე ვხედავთ კარიკატურას სახელწოდებით „ახალი პრიბავკა“ (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #11). როგორც არსებული მასალიდან ჩანს, მხატვარი კარიკატურათა შესაქმნელად დამფუძნებელი კრების სხდომებსაც ესწრებოდა, ჩანახატებს კი აქვეყნებდა სათაურით „დამფუძნებელი კრება“. „ეშმაკის მათრახის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნებულია სოციალ-დემოკრატების – რაჟდენ არსენიძისა და გრიგოლ გიორგაძის – კარიკატურული პროტრეტები (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #17), 23-ე ნომერში – სერგო ჟორჟოლიანის გამოსახულება (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #23), 26-ე ნომერში კი – გარ ტერ-სტეპანიანცისა და სპირიდონ კედიას კარიკატურები (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #26). 30-ე ნომერში დაიბეჭდა იუმორისტული გამოსახულებები სათაურით „ჩვენი დროის მილიონერები“ (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #30), 50-ე გამოცემა კი პლატონ თალაკვაძის კარიკატურას ბეჭდავს (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #50).

1920 წელს, როდესაც საქართველოს ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია ესტუმრა, მიხეილ ჭიაურელმა ამ გამორჩეული მოვლენის მონაწილეთა შარჟებიც შემოგვთავაზა. „ეშმაკის მათრახის“ №42-ში დაიბეჭდა ბრიტანელი ლეიბორისტის, ინგელსის, კარიკატურა, (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #42), 43-ე ნომერში კი – ბელგიელი პოლიტიკოსის, ემილ ვანდერველდეს, სამი გამოსახულება (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #43). მიხეილ ჭიაურელის კარიკატურა სათაურით „აგიტაცია“, რომელიც „ეშმაკის მათრახის“ 48-ე ნომერმა დაბეჭდა, ასახავს ბოლშევიკისა და მენშევიკის დისკუსიასა და მიტოს წუხილს მთავრობის გამო (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #48). ჟურნალის 52-ე გამოშვება აქვეყნებს ოთხ

კომპოზიციას სათაურით „საერთაშორისო თვალთმაქცი“, რომლებიც ლენინს ეძღვნება (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #52).

„ეშმაკის მათრახში“ დაბეჭდილ კარიკატურათა შორის აღსანიშნავია მიხეილ ჭიაურელის მიერ შესრულებული სხვა ნამუშევრებიც, რომლებიც ეხება ქართულ ოპერას „აბესალომ და ეთერი“ (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #21). ჟურნალის 51-ე ნომერში გამოქვეყნებული „ქართული დრამა“ თეატრალურ წრეებში წარმოქმნილ დაპირისპირებას ეხმიანება და მასზე ალექსანდრე წუწუნავას, ალექსანდრე ახმეტელის, მიხეილ ქორელისა და აკაკი ფაღავას კარიკატურული ფიგურებია გამოსახული (ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1920). #51). როდესაც მიხეილ ჭიაურელის კარიკატურულ მემკვიდრეობას განვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ სხვა პერიოდული გამოცემებიც. მაგალითად, ჟურნალი „ხათაბალა“ აქვეყნებდა კარიკატურებს „ოსმალეთის მდგომარეობა მოკავშირეთა ნოტის წარდგენის შემდეგ“ (ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). #2), ხოლო „მათრახში“ დაიბეჭდა ნამუშევარი სათაურით „საამდროვო კუპლეტები“ (ჟურნალი „მათრახი“. (1920). # 1).

მიხეილ ჭიაურელის მიერ შესრულებულ კარიკატურებში მჟღავნდება მხატვრის განსწავლულობა და სიღრმისეული დაკვირვების უნარი, გადმოცემის სისხარტე და შინაგანი ექსპრესია. როგორც ვხედავთ, ჭიაურელის იუმორისტიული ნამუშევრები, ძირითადად, სოციალურ ყოფასა და პოლიტიკურ თუ კულტურულ ვითარებას ეხმიანება. ფაქტობრივად, ჭიაურელი ხატავდა თავის თანამედროვეებს, რომლებიც პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ამ მოღვაწეთა უმრავლესობა წლების განმავლობაში იდევნებოდა, მათი პირადი საქმეები კი ნადგურდებოდა, რის გამოც მიხეილ ჭიაურელის დანატოვარი მკვლევართათაის უარღესად ინფორმაციულია.

ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან მოყოლებული, უამრავმა ადამიანმა პოლიტიკური წნეხი და ტერორი პირადად იწვნია. შესაძლოა, ეს შეეხო მიხეილ ჭაურელსაც, რომელიც მხატვრობას ჩამოშორდა და საბჭოთა პერიოდში უკვე რეჟისორის ამპლუაში მოღვაწეობდა.

დასკვნები

დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამი წელი – 1028 დღე იარსება და არაერთი რეფორმით იმდროინდელი მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსთა ყურადღების მიქცევა მოახერხა. დამოუკიდებლობა და პოლიტიკური პლურალიზმი ხელოვანთათვის, განსაკუთრებით კი, მხატვარ-კარიკატურისტებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. პოლიტიკურ, სოციალურ თუ ყოფით თემაზე შესრულებული ათეულობით კარიკატურა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, აშკარად თავისუფლებითა და მიმღებლობით არის გაჯერებული. მიუხედავად იმისა, რომ კარიკატურისტები თავიანთი ჩანახატებით ახლად დაარსებულ რესპუბლიკას მკაცრად აკრიტიკებდნენ, მათ ნამუშევრებში ყოველთვის ქვეყნის გულშემატკივრის პოზიცია გამოსჭვიოდა. 1921 წლიდან სიტუაცია შეიცვალა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ახალი „რეფორმები“ მოჰყვა და ხელოვანებს ცენზურამ ახალი მოთხოვნები დაუწესა.

საბჭოთა იდეოლოგიამ ხელოვნება ე.წ. განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტად აქცია და სათავე დაუდო სოციალისტურ რეალიზმს, რომლის მთავარი ამოცანა მასობრივი კულტურის შექმნა იყო. იდეოლოგია უპირისპირდებოდა პიროვნებას, ინდივიდუალურ აზროვნებას და, საერთო კოლექტიური ერთობის ჩამოყალიბების მოტივით, ახალ სინამდვილეს შიშითა და ტერორით ქმნიდა. ასე იბადებოდა ახალი ტიპის ადამიანი – საბჭოთა ინდივიდი. ადამიანებს აზროვნებაც ერთნაირი მოეთხოვებოდათ, თავისუფლების მაძიებელ ხელოვანებს კი,

რომლებიც იდეოლოგიისათვის თანდათან უფრო სახიფათონი ხდებოდნენ, როგორც იდეოლოგიურ მტრებს, ფიზიკურად ანადგურებდნენ.

საბჭოთა საქართველოში იქმნებოდა პროლეტარული ნაწარმოებები, დითირამბები, საბჭოთა ბელადებისადმი მიძღვნილი ლექსები თუ პამფლეტები, რომლებიც პროპაგანდისტული კარიკატურით უხვად ფორმდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე, ი. (1990). *შალვა ქიქოძე,* თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

აბესაძე, ი. ციციშვილი მ. (2015). *შალვა ქიქოძე,* თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“.

აფხაზიშვილი, ს. (2019). *სოციალური სიცილი,* თბილისი: გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

ბენდიანიშვილი, ა. (2001) *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.),* თბილისი: გამომცემლობა „მემატიანე“.

ირემაძე, ი., ჭანტურიძე, ს. (2018). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) კულტურის ქრონიკები.* თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ენციკლოპედია-ლექსიკონი. (2018). თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

ტაბატაძე, თ. (2011). *არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა.* თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“.

ჩიხრაძე, მ. (2014). თბილისი 1910-1921 წლებში, *ისტორიული მემკვიდრეობა,* #9. გვ. 33-38.

ციციშვილი, მ., ჭოღოშვილი ნ. (2005). *ქართული მოდერნიზმი 1910-1930.* თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“.

პერიოდული პრესა

გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“.* (1918-1921). თბილისი

გაზეთი *„სახალხო საქმე“.* (1918-1921). თბილისი

ჟურნალი „ახირებული“. (1919). თბილისი.

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“. (1919-1921). თბილისი.

ჟურნალი „ხათაბალა“. (1920). თბილისი.

ჟღენტი, ლ. (1971). მიხეილ ჭიაურელი – მსახიობი, მოქანდაკე, კარიკატურისტი, მომღერალი, *„საბჭოთა ხელოვნება“* #2.

ტაბიძე, ტ. (1922). „ქიმერიონი“. *ჟურნალი „ბარრიკადი“.* #5.

REFERENCES

abesadze, i. (1990). *shalva kikodze [Shalva Kikodze].* Tbilisi, publishing house "Khelovneba".

abesadze, i. tsitsishvili m. (2015). *shalva kikodze [Shalva Kikodze].* Tbilisi, "Favorite Print" publishing house.

apkhazishvili, s. (2019). sotsialuri sitsili [Social Smaile]. Tbilisi: Publishing House "Bakur Sulakauri Publishing House".

bendianishvili, a. (2001). *sakartvelos p'irveli resp'ublik'a (1918-1921 ts'ts'.) [The First Republic of Georgia (1918-1921)].* Tbilisi: Mematiane Publishing House.

iremadze, i., ch'ant'uridze, s. (2018). *sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is (1918-1921 ts'ts'.) k'ult'uris kronik'ebi [Chronicles of the culture of the Democratic Republic of Georgia (1918-1921)].* Tbilisi: "TSU" publishing house.

sakartvelos demok'rat'iuli resp'ublik'is (1918-1921 ts'ts'.) entsik'lop'edia-leksik'oni[Encyclopedia-lexicon of the Democratic Republic of Georgia (1918-1921)]. (2018). Tbilisi: Publishing House "TSU".

t'abat'adze, t. (2011). *art'ist'uli k'ape „kimerioni“ da misi mokhat'uloba [Artistic cafe "Khimerion" and its paintings].* Tbilisi: "Favorite Print" publishing house.

chikhradze, m. (2014). tbilisi 1910-1921 ts'lebshi, *ist'oriuli memk'vidreoba*, #9. gv. 33-38.

tsitsishvili, m., ch'oghoshvili n. (2005). *kartuli modernizmi 1910-1930 [Georgian modernism 1910-1930].* Tbilisi: "Sezani" publishing house.

Periodical press

gazeti *„sakartvelos resp'ublik'a“.* (1918-1921). [Newspaper *“Sakartvelos Respublika“.* (1918-1921)]. Tbilisi.

gazeti *„sakhalkho sakme“.* (1918-1921). [Newspaper *“Sakhalkho Sakme“.* (1918-1921)]. Tbilisi.

zhurnali *„akhirebuli“.* (1919). Tbilisi.

zhurnali *„eshmak'is matrakhi“.* (1919-1921). Tbilisi.

zhurnali *„khatabala“.* (1920). Tbilisi.

zhghent'i, l. (1971). mikheil ch'iaureli – msakhiobi, mokandak'e, k'arik'at'urist'i, momgherali, *„sabch'ota khelovneba*“ #2. [Mikheil Chiaureli – actor, sculptor, caricaturist, singer, "*Soviet Art*" #2].

t'abidze, t'. (1922). *„kimerioni“. zhurnali „barrik'adi“. #5. ["Chimerion". "Barricade" magazine. #5].*

ილუსტრაციები

ფოტო 1

„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“.
ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1919, #4,

ფოტო 2

„ნაცემთა თავშესაფარი“.

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“,

1920, #22

ფოტო 3

ჟურნალი „ხათაბალა“ „ქუდი“ კარიკატურა



ფოტო 4

ჟურნალი „ხათაბალა“ „ქუდი“ კარიკატურა

ფოტო 5 „აღდგომის პასკა“ ჟურნალი „მათრახი“, 1919, #1

ფოტო 6

„ახირებული ხმის მიცემა“ ჟურნალი „ახირებული“, 1919, # 2

ფოტო 7 „გვარდიის დღე“

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, 1919, # 3



ფოტო 8

„უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა“

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, 1920, # 24

ფოტო 9

„დამოუკიდებელი საქართველო“

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, 1920, # 10

ფოტო 10

„დამოუკიდებელი საქართველო“

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, 1920, # 10